

რაფიელ ერისთავი

ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს

ვოდვეილი ორს მოქმედებად

გადმოკეთებული რუსულის ენიდან

მოქმედნი პირნი:

ოსეგ შატპლუტოვი, 50 წლისა (ვაჭარი).

სერგო, შვილი მისი, 18 წლისა (სამსახურში მყოფი).

ელისაბედ ბუმბულაძისა, ქვრივი.

მაშიკო

} ამისი შვილები

აპოლონ

მართა, მოახლე შატპლუტოვისა.

ივანე, მსახური ბუმბულაძისა.

მოქმედება პირველი \_ დილის 10 საათზედ, მოქმედება მეორე \_ ღამის 12 საათზედ.

მოქმედება პირველი

(თეატრი წარმოადგენს ქუჩიდგან სახლში შესავალ კიბეს. მარცხნივ სჩანს კარები ბუმბულაძის სახლისა, მარჯვნივ \_ შატპლუტოვისა. პირდაპირ კარი ქუჩისა).

გამოცხადება პირველი

სარგო შატპლუტოვი \_ (ბუმბულაძის სახლის კარებში უძახის) მაშიკო, სულიკო!  
ერთს მინუტს გამოიხედეთ, ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

მაშვიკო \_ მომიტევეთ, ვერ მოვალ.

სერგო \_ რატომ?

მაშვიკო \_ საქმე მაქვს.

სერგო \_ არც მე გახლავართ უსაქმო, მეც საქმისთვის გეძახით.

მაშვიკო \_ მე საქმე კი არა მაქვს, მაგრამ... ვერ გამიბედნია თქვენთან გამოსვლა.

სერგო \_ რა მიზეზია?

მაშვიკო \_ განა დაგავიწყდათ, რომ დედამ ამიკრძალა თქვენი ნახვა?

სერგო \_ ჰერი ჰა! მაგისტანებს თუ აჰყე!..

მაშვიკო \_ (გამოდის) ოჰ, რა მოუთმენელი და გიჟი რამა ხართ!

სერგო \_ რადგან ასეა, ერთი მართლა თავს მოვიგიჟიანებ და გაკოცებ (ჰკენის ხელზედ).

მაშვიკო \_ კარგია, ნუ ცელქობ, არავინ დაგვინახოს!... ახლა ბრძანე რისთვის მეძახოდით?

სერგო \_ რისთვის და, მე მინდოდა მეხარებინა რამე... არ იცით, მე ხომ ჯილდო მივიღე!

მაშვიკო \_ (სიამოვნებით) მართლა?!. ჯამაგირი კი არ მოუმატებიათ?

ფარდა დაეშვება

სერგო \_ როგორ არა! ჩინი და ჯამაგირიც! ორივე ერთად! ესლა დამრჩომია, რომ თქვენ აღგამაღლოთ, გაგხადოთ ჩემს მეუღლედ!...

მაშვიკო \_ (მოწყენით) ჰეი, ჰეი! ეგ სრულებით თქვენზედ არ არის დამოკიდებული,

სერგო \_ ეს იგი, გინდოდათ გეთქვად, ჩემს ვალებზედ, \_ თქვენ ამაზე ნუ სწუხართ!

მაშვიკო \_ (მხიარულებით) მართლა?

სერგო \_ სწორეთ.

მაშვიკო \_ ვითომ როგორ ფიქრობთ მაგ საქმის მოხერხებას?

სერგო \_ ძალიან ადვილათ...უნდა აიღოს კაცმა და გადაიხადოს, მაშინ საქმე გაწმენდილი იქნება!

მაშვიკო \_ (წყენით) ნეტავი შენა! აღარც კი ირცხვენ?... საშინელი დაუდევარი

ბრძანებულხართ!.. სრულებით არა გყვარებოვარ, მე კი (ტირის) მე... (მრისხანეთ)

მმაგხართ, რახან ასეა!... მიბძანდით!..

სერგო \_ (განცვიფრებით) რა?... მაგას არა?... არა ჰხმრობთ!

მაშვიკო \_ არასოდეს! (იქით მიბრუნდება).

სერგო \_ კარგი! ძალიან კარგი!.. მშვიდობით! მე მივდივარ (მიდის კიბისკენ)

მშვიდობით, მაშვიკო!

მაშვიკო \_ (შეკრთომით) სად მიბრძანდებით?

სერგო \_ (დაწყნარებით) სამსახურში, აგერ მეათე საათია და მეშინიან არ დავგვიანდე.

მაშვიკო \_ მაშ, შერიგებას აღარ აპირებთ?

სერგო \_ (შესდგება) მაშ, თქვენ აღარ მიწყრებით?

მაშვიკო \_ აღარა, თუმცა ძალიან კი მაწყენინეთ.

სერგო \_ (მობრუნდება) ოჰ, სიკეთის ბუდევ! ქალი კი არა ხარ, ანგელოზი ხარ! მე

ბევრი დავაშავე თქვენთან, მაგრამ სიტყვას გაძლევ, პატიოსანს სიტყვას, რომ ჭკუაზედ მოვიდე, ვეცადო ვალებიდან გამოსვლა, ვიშრომო დღე და ღამე, ოღონდ კი მაპატივეთ!...

მაშიკო \_ აკი გითხარი და გავათავე...

სერგო \_ ჩემო სულის კოლოფო!... სიცოცხლის ბუდევე, ცხოვრების იმედო! (ჰკოცნის ხელზედ).

მაშიკო \_ მართლა, ახლა კი დრო არის თქვენი სამსახურში წაბრძანებისა, მიბრძანდით...

სერგო \_ მაშ, მშვიდობით! (ჰკოცნის ხან ერთს ხელზედ, ხან მეორეზედ)

მაშიკო \_ მშვიდობით! კმარა, კმარა...

სერგო \_ მომითმინეთ, ერთიც საგზაოთ...

მაშიკო \_ კმარა, ტუჩები არ გეტკინოსთ... მშვიდობით... (ლოყას მიუშვერს და სერგო რომ დააპირებს კოცნას, მაშიკო თავს მოარიდებს და სერგო მხარზედღა ჰკოცნის; მაშიკო შევარდება თავის ოთახში).

სერგო \_ ოხ! ათასი მანეთი რომ მიეცა ჯილდოთ, ასე არ მეამებოდა! (მიდის და კიბეზედ შეხვდება აპოლონ ბუმბულაძეს) აპოლონს გაუმარჯოს (მარცხნივ მიდის და ამბობს) ოხ, სიყვარულო, ცხოვრების მეფევე!...

გამოცხადება მეორე

აპოლონ, შემდეგ ოსეფა შატპლუტოვი და მართა, მისი მოახლე

აპოლონ \_ (თავს უკრავს სერგოს და თავისთვის ლაპარაკობს) სიყვარული! რა არის სიყვარული? ფუჭი ნიგოზია! მეტი არაფერი! (მივა თავიანთ კარებთან) დიდხანს ვისეირნე ბაღში; რა სასიამოვნოა, როდესაც კაცი, შემდეგ ხანგრძლივს მოგზაურობისა, მოვა თავის მამა-პაპეულს სახლში და მიიკრავს გულზე თავის დას (კმაყოფილებით გაიღიმებს) რა კარგათ ვსთქვი და!...

ოსეფ შატპლუტოვი \_ (ქუჩიდან შემოდის და ელაპარაკება მოახლეს, რომელიც წინ მიუძღვის ტომარა წამოკიდებული) მე თუ არა ვნაღობ უკან სიარულს, შენ რა გენაღვლება? კიბეზედ ვინც უნდა წინ წავიდეს, სულ ერთია.

მართა \_ მაგას რატომ ბრძანებ, ალაჯან, მოახლეს იმიტომ ეძახიან მოსამსახურეს, რომ ბატონის უკან უნდა დადიოდეს.

ოსეფა \_ მტრის ენაა, ნუ დაიჯერებ! ბატონი მაინც ბატონი იქნება, თუნდ მოახლის წინ იყოს, თუნდ მოახლის უკან (ამოიღებს გასაღებს და კარებს აღებს, აბა მობრძანდი, ბევრს ცერემონიაზედ, მამა გიცხონდა, ხელი აიღე! (მოახლე შედის).

გამოცხადება მესამე

აპოლონ და ოსეფა

აპოლონ \_ (თავისთვის) ნამდვილი სიმართლე ეგ არის, სრული ჭეშმარიტება არის! მაღალი მსჯელობა!... (ოსეფას) პარუნ ოსეფას გაუმარჯოს!

ოსეფა \_ ოჰ, შენა? დმერთმა ჭკუა მოგცეს, როგორა ბრძანდები?

აპოლონ \_ გახლავართ, პარუნ, თქვენ როგორ გიკითხოთ?

ოსეფა \_ რა ვქნა! რაღა საკითხავი ვარ: კიბეზედ ვეღარ ავსულვარ, გულის ქშენა მომდი; მანამ ავაღ, ორას ორმოცი უნდა დავახველო.

აპოლონ \_ იაღლიშათ არ იყოთ: იქნება ორას ოცს ახველებდით?... მაგრამ, თქვენ თვითონ რაზედ იწუხებთ, დალოცვილო, თავსა ბაზარში სიარულით?

ოსეფა \_ მაშ რა ვქნა? მსახურს თუ ენდე, ეხლანდელ დროში აღარ შეგრჩება გროში! აბაზში ერთს შაურს მაინც მოგპარამს.

აპოლონ \_ ერთ შაურს?

ოსეფა \_ არა, შაურს არა, მაგრამ ისე ვამბობ რაღა... მაგალითათ... ყველგან თვალი უნდა, ხომ იცი? ბაზრიდან რომ მოვდივარ, გოგო ჩემ წინ მომყავს ნავაჭრი ხორაგითა, იმიტომ, რომ მსახური ფულს თუ ვერ გამოგრჩა, სტაფილოს მაინც ამოგაცლის ან ბოლოკს... ყოველდღე რომ ასე იპარონ, წელიწადში 365 სტაფილო იქნება, ან ბოლოკი.

აპოლონ \_ თუ ნაკიანი წელიწადია? მაშინ 366 იქს.

ოსეფა \_ ეჰ, მასხარავ!... ახლა რა ვქნათ, მწყინს, მაგრამ მოახლეს უკან კი მოვჩანჩალე.

აპოლონ \_ (მაღლა იყურება და ყვირის შეშინებულივით) არიქა, ოსეფჯან, სახლი იქცევა, სახლი!

ოსეფა \_ (ჩამოდგება სიჩქარით შეშინებული) ვა, ვა!... ოჰ, ფინთი ვინმე ხარ? ახარ, მე თავათ ქშენა მკლავს, შენ კიდევა გულს მიხეთქამ, ყურუმსაღო!...

აპოლონ \_ (კმაყოფილების ღიმილით) ნუ გეშინიან, არაფერია, გეხუმრებოდი.

ოსეფა \_ ახარ, ასე იქნება? რა ბრიაბურ რამა ხარ! იმ დღესაც კაი მასხრობა მოგივიდა, აი, ის იყო სულ ყველას ჩაგვეძინა, შენ კი შეჰქენ ღრიალი: დავიწვით, დავიწვით! წამოვბტით, დავრბივართ, ქალებს გული მისდით, მე თვითონ კინაღამ არ მოვკვდი!

გამოველ აქა, შენ კი გიჟივით იცინი... ახარ, გაგონილა ამისთანა ტუტუცობა?

აპოლონ \_ მაშ რა ვქნა? შინ მოველ სხვაგნიდან, ვხედავ ყველასა სძინავს; ვიფიქრე, მოდი, ერთი გამოვცდი ჩვენების სიმარჯვესა და ოსეფას გულადობას მეტი: შევიძახე თუ არა „დავიწვით“, მთელს ხალხში ასეთი აყალმაცალი შეიქმნა, რომ შენი მოსაწონი!..

ოსეფა \_ შენ მაშინ ნახამდი სეირს, რომ ეჩვილა ვინმეს! მეც დედაშენის ხათრი შევინახე, თორემ გიჩვენებდი შენს თამაშასა!

აპოლონ \_ (სიცილით) მართლა?!. ახლა წასულს საქმეს თავი დავანებოთ და აწმყოზედ ვილაპარაკოთ: თქვენ ბრძანებთ, რომ უძღურათა ხართ და ბაზარში კი ყოველდღე დადიხართ; რა გიჭირთ, რო თქვენი შვილი გაგზავნოთ ხოლმე.

ოსეფა \_ რაო? ჩემი შვილი? სერგო? იკადრებს კი! იმან სამსახური იცის, მეტი არაფერი.

თვეში ორ თუმანს გადმოგიგდებს და მეტი არაფერის ნაღველს არ სწევს, არც სახლისას, არც პურისას, არც ღვინის, არც შეშის... არა, ახლანდელმა ჯელებმა ფრანტობის და ბანქოს თამაშობის მეტი ინჩი არ იციან, ინჩი!..

აპოლონ \_ სწორე მოგახსენოთ, მეც ძალიან მიყვარს ქაღალდი... მერე კიდევ

ყმაწვილკაცს კარგი ჩაცმა ჰქონის, ფული უნდა... სიცოცხლე, ხომ იცი, მოკლეა! უნდა ისარგებლოს კაცმა დროითი და დროებით, უნდა სიამოვნების ბადეში გაეხვიოს და დაიჭიროს სიტკბოება...

ოსეფა\_დიახ, დიახ! სერგომაც ასე არ ქნა! კარგს ბადეში გაეხვია: ერთი ორასი თუმანი ფული ვალი დაიჭირა და ახლა დადის, ბუზებსა სთვლის...

აპოლონ\_ეგ წასული საქმეა, პარუნ ოსეფ, ახლა ხომ დაჭკვიანდა, ფულებს აღარ აზნევს, ვალს აღარ იღებს...

ოსეფა\_ეგ რა კარგი ბრძანე!.. ნეტავი მე მეთქო! არა, ტუტუცო, რა დააბნიოს, რომ აღარაფერი აქვს, ვისაგან აიღოს ვალი, რომ აღარავის ენდობა?..

აპოლონ\_არა, თქვენა ბრძანებთ ცუდათ! ძალიან ჭკვიანურათა ბრძანეთ... მაგრამ თქვენისთანა მამა კაცსა ჰყავდეს და ვალისათვის შეწუხდეს?!

ოსეფა\_არა, ბატონჯან, ვისაც მურაბა უჭამია, არაყიც იმან დალიოს. განა ჩემს შვილს მაგისთანა აზიდას მივსცემ, რომ ვალი მე დადავუხადო?!. თავმომწონე

ვაჟია\_ეწყინება... მერე კიდე არ მიყვარს სხვის საქმეში გარევა...

აპოლონ\_ოღონდ თქვენ გადაუხადეთ და თავდები მე ვიქნები, რომ არ ეწყინოს.

ოსეფა\_კარგი თავდები ხარ, მაგრამ შენ კი გენდობი?

აპოლონ\_ეგეც კარგათა ბრძანეთ აი, პარუნ ოსეფ!..

ოსეფა\_არა უშავს რა, ერთი ოთხი წელიწადი რომ თავგები ითამაშებენ იმის ჯიბეში, მაშინ ფულის ყადრს ისწავლის.

აპოლონ\_ან კი გგონიათ ეს ფული? გროშათ ვიყიდი? ოქრო!.. რა არის ოქრო?

მტვერია, სხვა რა?..

ოსეფა\_დიახ,დიახ! ამიტომაც თუ გძულსთ, რომ დედათქვენს ბევრი ქვს და ნახევარი თქვენ დაგრჩებათ იმის შემდეგ.

აპოლონ\_სულაც არა! (მხურვალეთ) ერთი ეს წარმოიდგინეთ: თქვენს შვილს უყვარს თქვენი და, გიჟდება იმისთვის, ჩემი დაც უარს არ არის, რომ იმას წაჰყვეს ცოლათ. აქ ვნახოთ რომ, შუაUA A აღუდგება რაღაცა დამაბრკოლებელი მიზეზი, ვიღაც საძაგელი მოვალე... ეჰა, მშობელო! რიდასთვის მოაკლებ ბედნიერებას თქვენს ნაშობს შვილსა?..

ორასი თუმნის გულისათვის? ერთი სიტყვის თქმის მეტი ხომ არ გინდათ რა?

ოსეფა\_მამაშენის ცხონებას, არ შეიძლება ვიცოდეთ, რა სიტყვაა ისა, რომელსაც მაგისთანა ძალა აქვს?!

აპოლონ\_რა სიტყვაა? (აღტაცებით) გადავიხდი!

ოსეფა\_(დაცინვით პუბლიკისაკენ) ვა, რა ჭკვიანია! (აპოლონს) შენ რომ მაგისთანა დარდიმანდი ხარ, შენი შვილი რაღა იქნება!..მამშორდი ერთი, დედაშენს ურჩიე თავისი ქალიც გააბედნიეროს: იმისი მზითიდან ჩემი შვილის ვალი მისცეს\_და საქმეც გათავდება, რაღა.

აპოლონ\_მე დედაჩემს ვუთხარი ეგ სიტყვა, მაგრამ, ხომ იცი, ის სუსტი აგებულების ადამიანია, სხვანაირი ხასიათის პატრონია...

ოსეფა\_სწორე მოგახსენო, არც მე ვარ ღონიერი და ხასიათიც ბაღლისა მაქვს.

აპოლონ\_(პუბლიკისკენ) საწყალი, რა პაწაწუნაა! \_თითზე არ მიკბინოს!.. (ოსეფას) მე ვხედავ, რომ თქვენ და დედაჩემს ფეტვის მარცვალი არ გაცვივათ ხელიდგან; სიპის ქვიდან ზეთს გამოადენთ.

ოსეფა\_ (წყენით) მაშ დედათქვენი თუ ზეთს აკეთებს, ფაფაც შენ გიხაროდეს, რაღა...  
მაგრამ მშვიდობით, დავიდარაბის თავი არა მაქვს... მშვიდობით (შევა ოთახში).  
აპოლონ\_ (პუბლიკისკენ) რა სულელია! რა ვაწყენინე, რომ გაჯავრდა? ბიჭო! (შესძახის  
თავის ბიჭს) ბიჭო! გააღე!  
ხმა ივანესი\_ ვინა ხარ, ეი?  
აპოლონ\_ (ბიჭს) შე მხეცო, ვერ მიცან ხმაზედ? (კარს გაუღებენ, შევა სახლში).

გამოცხადება მეოთხე

ელისაბედ და სერგო

(შემოდინ კიბიდან, ელისაბედ გააგრძელებს ლაპარაკს სერგოსთან)  
ელისაბედ—დღეს როგორღაც ადრე წამობრძანებულხართ სამსახურიდან... ჩინი რომ  
მოგემატათ, იმიტომ თუ?... ახლა შრომაც ხომ ნაკლები გექნებათ?  
სერგო--- რა ბრძანებაა! კაცს როგორც ჯილდო ემატება, მასთანვე შრომაც. მე იმიტომ  
წამოველ ადრე სამსახურიდან, რომ შინ ვიმუშავო. მოგეხსენებათ, შინ უფრო  
იბეჯითებს კაცი.

ელისაბედ--- ახლა ჯამაგირიც მოგიმატეს?...

სერგო--- დიახ, სამასი მანეთი.

ელისაბედ---- მადლობა ღმერთს! მაშ ახლა თქვენს საქმესაც გამოაკეთებთ.

სერგო\_ ვეცდები, რაც კი შეიძლება, ჩემგანით.... ბატონო ელისაბედ! ხომ არ  
მიწყობით? .. ( თავმოკატუნებით) ან იმედს მაძლევთ რასმე?...

ელისაბედ\_ რასაკვირველია! ოჰ, დედაშვილობამა, მე, ხომ იცი, სულით და გულით  
მიყვარხარ, კარგი ყმაწვილი კაცი ხარ, მაგრამ ის წყეული ვალები!.... ( ალერსით  
მხარზე ხელს უბარტყუნებს) მოიშორე ბარემ და ქორწილიც გავჩარხოთ ! ... ჩემი  
მამო,ხომ იცი შენი მაცურებელია.

სერგო\_ რა ეშმაკი მომაშორებს იმ ვალებს ჩემი ჯამაგირით სამს წელიწადს გადავიხდი  
და მანამდის რა ვუყო, საით წავიდე?...

ელისაბედ\_ ხუმრობა კი არ არის სამი წელიწადი: ორნივ დაჭკნებით მწუხარებით,  
ჩემი შვილების სიცოცხლემ! ... მამიშენისათვის გეთქო, იმისათვის სუ ადვილია მაგ  
ვალის გადახდა. მერე კიდევ რარიგად უყვარხარ.

სერგო\_ მართალია, მაგრამ ფული უფრო მომეტებულად უყვარს.

ელისაბედ\_ დახე, რა ბოროტებაა, ფულის სურვილი; ამაში როგორ უნდა გაცვალოს  
კაცმა თავისი შვილი...ძუნწობა? დიდი... დიდი საძაგლობაა.

სერგო\_ (იქით) შენ მაინც არ მეუბნებოდე მაგას!

ელისაბედ\_ მეც მოხუცებულობის დროს მოვისვენებდი, რაკი მაშიკოს  
დავაბინავებდი.

სერგო\_ (ცოტა დარცხვენით); არც იცის, თუ როგორ დაიწყოს, ბატონო...ელისაბედ...  
მ...მ...მ... მომისმინეთ, შენი ჭირიმე...

ელისაბედ\_ ბრძანე.

სერგო\_ ბატონო... მე მგონია, აქ ანგარიში სწორი არ უნდა იყოს... თქვენ კი არ ვიცი როგორ განსჯით... ეს მიბრძანეთ... ხომ თანახმა ბრძანდებით, მაშეკო მე მომცეთ? ელისაბედ\_ უეჭველად! თუნდა ამავე წუთში, ეხლავე\_ ეხლავე, მაგას რაღა ჩიჩინი უნდა...

სერგო\_ მზითევსაც ხომ აძლევთ? ...

ელისაბედ\_ რასაკვირველია! უსიკვდილოდ. შვიდასი თუმანი ქრთამი ალალი ფული აქვს, ბიძისაც დარჩა, ღმერთმა შეარგოს!

სერგო\_ მაშ იცით რა? ...

ელისაბედ\_ რა, შვილო?

სერგო\_ მზითვად მომეცით მარტო ხუთასი თუმანი და ორასი კი ჩემს ვალებში მიეცით.

ელისაბედ\_ უი, ჩემს თავს! ეგ როგორ გამაგონე? როგორ შემიძლია ჩემი ქალის ფულს შევეხო!... რათ წავართო ორასი თუმანი? ეს უსინდისობა იქნება!...

სერგო\_ ჩვენ ხუთასი თუმანიც გვეყოფა!... თუ გნებავთ, მე ამაზედ დაგყაბულდებით, რომ მარტო ორასი თუმანი ჩემს ვალებში მისცეთ, მეტი აღარა მინდა რა.

ელისაბედ\_ სთქვენც არ დამეხოცნეთ და თათუაც არ წამიწყდეს, მე ეგ არა ვქნა! უი, ჩემს თავს, ეგ რა მითხარი? ყმაწვილები ხართ და მარტო ჯამაგირი როგორ გაცხოვრებთ?...

სერგო\_ მაშ კარგი, არც ეგ მინდა, ოღონდ ნება მოგვეცი ჯვარი დავიწეროთ, თქვენი ლოცვა კურთხევა გვინდა.

ელისაბედ\_ ღმერთმა გაკურთხოთ, შვილო, მაგრამ ქორწილზედ თანახმა არ ვარ, სანამ ვალებს არ გადაიხდი.

სერგო\_ (იქით) დაგწყევლოს ღმერთმა! მოდი ამისთანა გიჟს და უგუნურს დედაკაცს ელაპარაკე. (ელისაბედს) ბატონო ელისაბედ!

ელისაბედ\_ მიბრძანე, შვილო.

სერგო\_ ვხედავ, რომ თქვენთან არა გამოვიდა რა. მეტი ღონე არ არის, უნდა მოვითმინოთ. მაგრამ ერთი მოწყალება მაინც მიყავით..

ელისაბედ\_ რა, შვილო?

სერგო\_ ნება მომეცით, მოვიდე ხოლმე ხანდისხან თქვენთან და მაშეკო ვნახო ხოლმე.

ელისაბედ\_ ვუი ჩემს თავს! ეგ რა თქვი შვილო?..

სერგო\_ რა სთქვი? რა იყო ამაში ცუდი?

ელისაბედ\_ როგორ თუ რა იყო? აღარ წამცდეს, ხუმრობა არ არის... მაგას როგორა ვიქ, რომ გასათხოვარს ქალზედ ქვეყანა ვალაპარაკო, სახელი გაუტყდეს.

სერგო\_ რათა, რათ გაუტყდება სახელი?.. მაშეკოს ხომ მე მპირდებით, მაძლევთ, და ქორწილამდე ისე ვიარო როგორც დანიშნულმა, საქმრომ, ამაში მე ცუდს არასა ვხედავ?.. არც არავინ იტყვის რამეს?

ელისაბედ\_ მაგას ნუ იტყვი, მამაშენის მზესა, განათლებული კაცი ხარ... არ იცი, ცუდი ენა ყოველთვის იშოვის მიზეზს ლაპარაკისას?.. მოიცა, შვილო, იქნება თავისით საქმე საქმეზედ მოვიდეს როდისმე!

სერგო\_ (იქით) ღმერთი გაგატილებს!.. (პუბლიკისაკენ) ეს არის ანაღვლის: ამას

თავისი დრო მოუჭამია და მე კი აღარა მკითხავს!..

ელისაბედ \_ (ალერსით) ასე, შვილო, ამდენი გიცდიათ, ცოტაც მოიცადეთ...

მშვიდობით... (თავის ოთახისკენ მიდის, სერგო თავს უკრავს და სანამ ელისაბედ შინ შევა, თავს აქეთ-იქით აქანავებს, შემდეგ მოთმინებიდან გამოსული).

სერგო \_ არა, ამას ზარბაზანიც რომ ჰკრა, მაშინაც ვერ გააწყობ... მითომ უნდა ხასიათი გამოაჩინოს... ამათ ჰგონიათ ვალები გადიხადეო. რა ეშმაკით გადავიხადო, რომ გროში არა მაქვს და ამ მიზეზით კი მეც მტანჯავს და თავის ქალსაც აუბედურებს.

გამოცხადება მეხუთე

სერგო და მაშვიკო გამოდიან

სერგო \_ (ვერა ხედავს მაშვიკოს და ისე ამბობს) მაგრამ ეგ საიდგან მიხვდება ამასა!... იმის გოგრაში ვინ შეიყვანს ამ აზრსა? ამოიყინა, რაკი ვსთქვი, აღარ გადავალო ჩემს სიტყვასო... ვინ ოხერი ეხვეწებოდა ეგ პირობა დაზდეო!... ქოფაკი!...

მაშვიკო \_ სერგო! შენა ხარ?... ვის ამკობ ასრე მშვენივრად?!

სერგო \_ დედათქვენს, თუ უკაცრაოთ არ ვიქნები!...

მაშვიკო \_ (მკაცრათ) დედაჩემს? გრცხვენოდეს მაგ თქმისათვის, გრცხვენოდეს!

სერგო \_ (ბოდიშით) მომიტევეთ! მე არა მესმის რა, რას ვამბობ, რას ვბოდავ, მომიტევეთ! სულ ყველა შენის სიყვარულისათვის მომდის ესა!

მაშვიკო \_ არა მგონია... ლანძღვა რა სიყვარულია? რათ მიამება დედის ჩემის ლანძღვა?

სერგო \_ (მწუხარებით) თქვენ მაინც მომისმინეთ, თქვენ მაინც შემიბრალეთ! რაც მე დედათქვენმა აქ სიტყვები მითხრა, მიკვირს, ან კი ჭკუა როგორღა შემრჩა...

მაშვიკო \_ (განცვიფრებით) ქა! რა გითხრა იმისთანა, რომ გასაგიჟებელი ყოფილიყო?...

სერგო \_ მე ის როგორ გამაგიჟებდა, მაგრამ...

მაშვიკო \_ რაც უნდა იყოს, მაინც ლანძღვა არ უნდა გეკადრებინა მოხუცებული ადამიანისათვის და იმის დედისთვის, ვისაც თქვენ ეტრფით, თუ არა სცრუობთ....

სერგო \_ ლანძღვა კი არა, სხვა უჩემოთ იმას ასე მიამტვრევდა, რომ შენი მოწონებული!... ახ, უკაცრავათ! რაებს ვამბობ თქვენთან, მე თვითონ არ მესმის... თავს ბრუ მესხმის... მე რომ აქ არ ვიყო, საცა ვარ, ვიტყვებდი...(ტირის) მაგრამ... ამას რაღა თქმა უნდა, ჰხედამთ?... ჰხედამთ?... რომ ვსტირი?...

მაშვიკო \_ (ტირილით) რათა, შენი ჭირიმე?!(პუბლიკისკენ) ჰხედამთ?! მართლა ტირის!... (სერგოს) კმარა, შენი ჭირიმე, კმარა... თვალები გეტკინება... (თვალებსა სწმენდს ცხვირსახოციით)

სერგო \_ (ტყუილის ტირილით) მაშვიკო! შენ მაინც რაღა გატირებს?! დეე, მარტო მე ვიტანჯო... დაჩუმდი, შენი სულისა!... (თვალებსა სწმენდს ხელსახოციით) მე მაინც მთელი ღამე საწერი მაქვს და გათენებამდის ვიტყვებ!...

მაშვიკო \_ რათა, რათ იტირებ? თავი გეტკინება,.... თვალები დაგისივდება და ხვალ



სამსახურში სიცილს დაგიწყებენ. (ეფერება) კმარა, სერგოს ჭირიმე!...  
სერგო\_ (ტყუილის ტირილით) არ იქნება, თუ არ ვიტყვებ!  
მაშვიკო\_ თუ გიყვარვარ...  
სერგო\_ კიდევ იმიტომ ვსტირი, რომ მიყვარხარ.  
მაშვიკო\_ გეხვეწები! (ჰკოცნის ლოყაზე) აჰა, ოღონდ ნუღარ იტირებ!..  
სერგო\_ (იქით) ოჰ, რა მიამა! (ტყუილი ტირილით) არა, არ შემძლიან!  
მაშვიკო\_ (ჰკოცნის კიდენ) კარგია, გეყოფა!...  
სერგო\_ (ტყუილის ტირილით) არა, არ მეყოფა!... (იქით) ამის მეტად არ მინახამს, რომ  
ქალს თვითონ დაეწყოს... (პუბლიკისაკენ) ახლა უფრო რაღა დამაჩუმებს! (მაშვიკოს)  
არა, არ შემძლიან... ღამე კი არა, დღეც ვიტყვებ, სამსახურშიაც ვიტყვებ...  
მიშვიკო\_ მე გთხოვ... ჩემის გულისთვის დაჩუმდი!  
სერგო\_ (იქით) არა ჰგავს დედას! იმასავით კრიჟანგი არ არის! (მაშვიკოს) არა არ  
შემძლიან!  
მაშვიკო\_ (ეხვევა და ჰკოცნის) კარგია, კმარა!

გამოცხადება მეექვსე  
იგინივე და ელისაბედ  
ელისაბედ- ვუი!.. ვუი, ჩემს თვალებსა!... ეს რა ამბავია?! (ლოყებსე იკაწრავს ორივე  
ხელით).  
მაშვიკო-(უკან დაიწევს შეშინებული)  
სერგო\_ ეს ბებერი რაღა ეშმაკმა მოიყვანა აქა! ის იყო გრძნობაში შეველი.  
ვერა გამიგია რა... ჰარამზადა ვიყო, თუ მესმოდეს რამე... გავგიჟდი, თუ რა ხათა  
მოსულა ჩემს თავს!.. მაშვიკო, შენა ხარ?..  
მაშვიკო\_ მე გახლავარ, მამაჯან! მობრძანდით, მომეხვიეთ  
(ოსეფასკენ მიდის).  
ოსეფა\_ მოიცა, მამა გიცხონდა! ახლო ნუ მოხვალ, შორიდან ვილაპარაკოთ... შენ  
მართლა ნამდვილი მიშვიკო ხარ?.. ცოცხალი ხარ?..  
ცოცხალი ხარ?  
მიშვიკო და სერგო\_ ეს რა ამბავია? მე არა მესმის რა!..  
აპოლონ\_ ჰოო! ახლა კი მომაგონდა! აკი დამავიწყდა!.. გული დაიმშვიდეთ, პარუმ  
ოსეფ!.. ეს მე ვიხუმრე... ჩემს დას ფიქრადაც არ მმოსვლია სიკვდილი... მე მოვიგონე,  
მე ვიხუმრე...  
ოსეფა\_ (გაჯავრებული) კიდენ შენა? ყურუმსალო!!.. ლუპუცტაცობაზედ ხელი არ  
აიღე?.. კინაღამ ხომ გაგიჟდი!..  
აპოლონ\_ მართლა? მაშ ძალიან შესინებული ხართ მაგისტანა გულადი კაცი...  
ოსეფა\_ (აპოლინ) ახარ, მინდღეში ტუტიცობა იქნება?.. გეტყობა ყმაწვილობაში ჭკუა  
არ უსწავლებიათ?! (ანიშნებს ხელით როზგის დაკვრას).  
აპოლონ\_ (ოსეფას) ჩურჩულა! ჩურჩულა!..

გამოცხადება მეშვიდე

ოსევა \_ ინჩხაბერე? რა აყალმაყალია?..

ელისაბედ \_ პარუნ ოსეფ! ღმერთი იწამე, მოგვაშორე ეგ შენი შვილი, სულის დგმა აღარ არის, ლამის გამლახოს...

სერგო \_ (ელისაბედს) ღირსი კი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა.

ელისაბედ \_ (ოსეფას) სერგო! ხომ იცი, რომ ქალს პატივი მოუხდება?

სერგო \_ რომელია ქალი? ეგ ქალი კი არარის, ბაიყუშია!..

ოსევა \_ რათა შვილო? რათ არის ბაიყუში?.. ტუტუცობა როდი ვარგა... ჯერ ერთი ესა, რომ შფოთი არ უნდა მოგივიდეს, მეორე, რომ დავიდარაბა ჯიგარს წაგიხდენს, მესამე, რომ ბრაზიან კაცს ვირის აბანოში ჩასმენ...

სერგო \_ ვირის აბანო რა არის?

ოსევა \_ ვირის აბანო?.. ის... ნაობახტია, შვილო.

სერგო \_ უკაცრაოთ! მე ვერავინ ჩამსომს, მე ხელმოწიფის ჩინოვნიკი გახლავარ.

ოსევა \_ (დაცინების ღიმილით) ჩინოვნიკი კი არა, პოლკოვნიკიც რომ იყო, მაშინაც ჩაგსმენ, თუ დავიდარაბაზე ხელს არ აიღებ და თუ დინჯათ იქნები, ყველა დაგიძახებს: `ვაში ბლალოროდი, პრაშუ პოკორნო!..` გესმის?!

სერგო \_ (ელისაბედზე ხელს იშვერს) ამ ხალხთან განა გულგრილობა მოხერხდება? რომ გაგეგონათ რარაები მითხრა!..

ელისაბედ \_ რომ გაგეგონათ რა პირით მლანძდა...

ოსევა \_ (ელისაბედს) იქნება თქვენ ბრიაბრუ რამე უთხარი? ახარ, ესეც კაცია, ძალდი ხომ არ არის?..

ელისაბედ \_ ქა! ჰხედამთ?!.. მევე მამტყუნებს!.. ჯერ ერთი ესა ჰკითხე, რა უქნა მაგან ჩემს ქალს?.. ოსევა \_ (ბურნუთსა ჰსწევს და თავის შვილს) სერგო! რა უყავი, მაგის ქალს?

სერგო \_ რა ვუყავი?.. არაფერი.

ოსევა \_ (ელისაბედს) არ მეუბნება.

ელისაბედ \_ თქვენ მამა ხართ, ათქმევინეთ.

ოსევა \_ არა, მე ძალა და ჩხუბი არ მიყვარს.

სერგო \_ (ოსეფას) მამავ! მოგახსენებთ... ეს ბებერი იმაზედ გადაიარა, რომ მაგის ქალს ხელზედ ვაკოცე.

ოსევა \_ (ელისაბედს) მერმე მითომ რა ვქნათ? მაგისათვის რა დავიდარაბას ჰხდით? მაშიკო და სერგო თითქმის დანიშნულები არიან.

ელისაბედ \_ დიახ, იყვნენ და ახლა კი... მშვიდობით! ახლა შენმა შვილმა ფელთმარშლობაც რომ მიიღოს, მაინც აღარ მივცემ ჩემ ქალს!

ოსეფა \_ რატომ, რა მიზეზია? ჩემი შვილი კაი ვაჟია! რა უჭირს.  
აპოლონ \_ (კარებიდგან გამოიცილება) ეს რა ამბავია? ჩემი და ჩაკეტილში დამჯდარი და ღრიალებს, აქ კიდენ ესენი ჩხუბობენ...  
ოსეფა \_ ელისაბედ! მოდი, გული მოიბრუნე, მამიშენის ცხონებასა... ერთი გამიგონე.  
ელისაბედ \_ ბრძანე, მე კი არა ვჯავრობ...  
ოსეფა \_ მე ბოდიში ვითხოვ ჩემი შვილისთვის... ყმაწვილია, ჯერ ქარები აქვს თავში! მაგრამ კაი ყმაწვილია... თქვენი ქალმა უყვარს, იმასაც სერგო უყვარს \_ ახარ, რაღათა შლის ქორწილი?... (სერგოს) სერგო! მოდი, რატომ არას იტყვი?  
სერგო \_ მაპატივეთ, ბატონო ელისაბედ! დავაშავე, უარიგოთ მოვიქეცი, მაგრა, გეფიცებით, ყველას მიზეზი ჩემი სიყვარული იყო!  
ელისაბედ \_ (დამშვიდებული) კარგია, მიპატიებია, მაგრამ მეორეთ გაფრთხილდით, აღარა გაჰბედოთ რა.  
ოსეფა \_ (სერგოს ჩუმათ) შენ წადი, მე უნდა მოველაპარაკო ჩემს ელისაბედს (სერგო გავა).  
ელისაბედ \_ სერგო! თქვენ სადღა მიბრძანდებით?  
ოსეფა \_ (ელისაბედს) მე განგებ გავაგზავნე, რომ ჩვენ მოვილაპარაკოთ... ახლა იცით?... მე უნდა მეთხოვნა რაზედმე...  
ელისაბედ \_ რაზე, პარუნ ოსეფ?  
ოსეფა \_ ბარემ დავაქორწილოთ რაღა ჩვენი შვილები.  
ელისაბედ \_ მე თანახმა ვარ და მზათა ვარ, მაგრამ, ხომ იცით მიზეზი...  
ოსეფა \_ ჩემი შვილის ვალები?... ვიცი, მაგრამ გადიხდის.  
ელისაბედ \_ როდის?  
ოსეფა \_ ქორწილის უკან.  
ელისაბედ \_ მაგის რა მოგახსენოთ!.. ერთხელ ვსთქვი და გავათავე, რომ მე ისე ქორწილს არა ვიქ, მანამ შენს შვილს ვალები ექნება... რა გიჭირს, რომ გადუხადო, ხომ არ დაგაქცევს ორასი თუმანი...  
ოსეფა \_ ორასი თუმანი! ადვილათა ბრძანებ! შინიდან მობრძანდი აგრე იაფი?  
ელისაბედ \_ რას დამცინით.  
ოსეფა \_ არა, ჩემმა სიყმემა! შენი ქონება რომ მქონდეს, ვინ შერცხვენილი დაფიქრდებოდა.  
ელისაბედ \_ (წყენით) როდის დათვალეთ ჩემი ქონება, პარონ ოსეფ?  
ოსეფა \_ დათვლით კი არა დამითვლია, მაგრამ ყველამ იცის, რომ იქ ბევრი გაქვს ჩადებული.  
ელისაბედ \_ ქა! სადა მაქვს ჩადებულინ?...  
ოსეფა \_ (ბურნუთს მოსწევს, შემდეგ ღიმილით) იქ, ბანკში.  
ელისაბედ \_ შენ ხომ შინ გაჭედილი ზანდუკები გიწყვია, სხვაც ისე თუ გგონია...  
ოსეფა \_ (შეკრთომით) რაო? ზანდუკებიო? ულაცია, ვისაც ეგ უთქვამს... (იქით) იქნება გოგომ თვალი მოჰკრა? ხვალვე გავაგდებ, თორემ შემოიყვანს რაზბოინიკებს!  
ელისაბედ \_ ვისთვის გინდა, რომ აგროვებ?  
ოსეფა \_ შენ ვის უნახამ?  
ელისაბედი \_ მოკვდები, ყველა ოხრათ დაგრჩება!

ოსევა \_ შენმა მზემ; შენ კი ცას შეაბერდები!

ელისაბედ \_ ჩაკვდები და ყუთებს გაგიღებენ!..

ოსევა \_ (იქით) ვერა ჰხედამთ ამ ენაკაჭია კუდიანს! (ელისაბედს) ის ბილეთები თან მიგაქვს?

ელისაბედ \_ (იქით) გაგიწყდა ქოქი! (ოსევას) პარუნ ოსეფ! გაუფრთხილდი, საეშმაკოდ ნუ იხდი საქმეს!

ოსევა \_ (იქით) ეშმაკებმა წაგიღონ, კარგი ვინმე შენა ხარ (ელისაბედს) მშვიდობით! წადი, ფულს მოუჯექ, არავინ მოგპაროს (გავა).

ელისაბედ \_ (მარტო) იმან რა იცოდა ჩემი ქონება?.. რაები მითხრა მაგ ქოვაკმა, ვერა ჰხედავთ?.. ცუდს გუნებაზედ დამაყენა... წავიდე ერთი, პიტნის კაპლი მაინც დავლიო. (შევა ოთახში)

გამოცხადება მერვე

სერგო, შემდგომ აპოლონ

სერგო \_ (თეთრი პალტო აცვია) წერა სულ აღარ შემიძლიან, ხელები მიკანკალებს; წავალ ბაღში მაინც, ეგების გული გადავაყოლო, ხვალ მაინც სამსახურში აღარ უნდა წავიდე (მიდის).

აპოლონ \_ (გამოდის) სწორედ შინ გაძლება აღარ შემიძლია: ჩემი და ქვითქვითებს, დედაჩემი ილანძლება, წავალ სასეირნოდ. (მიდის და ისევ მობრუნდება)

არა, რისთვის ვიტანჯები? რათა ვარ მოწყენილი? რატომ სხვები კი არ იტანჯებიან და არ არიან მოწყენილი?.. ჰა?.. რა მიზეზია?.. (გაბედვით) რახან ასეა, მაშ სხვებსაც მოვაწყენინებ, დე, ისინიც თანაზიარნი გახდნენ ჩემს მწუხარებასა და მოწყენაში!.. კარგი აზრი მომივიდა! (ოსევას სახლის კარს აბრაზუნებს და აჩქარებული მაღლის ხმით) პარუნ ოსეფ!

ოსევა \_ (კარს გააღებს) რა ამბავია რა გნებავთ?

აპოლონ \_ (განწირულობის სახით და მტირალის ჩივილით). პარუნ ოსეფ!.. როგორ არ გებრალეებით! დაგვექცა ოჯახი!.. ჩემი საბრალო და... (თვალეზზედ ხელს მიიფარებს) აპოლონ \_ შენს მტერს დაემართოს იმისთანა!.. უეცრათ მოგვიკვდა!..

ოსევა \_ (მებდაცემულივით) ვაი ჩემს ჩამაღლებას, ეგ რა მითხარი... ვაი! ვაი! (კარებს შეიხურამს უცებ).

აპოლონ \_ (ღიმილით) ეგეც შენ!.. წადი თავში შემოიკარ!..

ელისაბედ \_ (კარებს უკან) ეს კარები ვის გაუღია, ქა?! (გამოვა) აპოლონ, რას აკეთებ?..

აპოლონ \_ (იქით) აბა ეხლა ეს შევაფუცხუნოთ!.. (დედას ტირილით) ბატონო დედავ!.. ვერ გაიგე, რო დავიღუპენით!..

ელისაბედ \_ (შეშინებული) რაო!.. როგორა, შვილო?..

აპოლონ \_ (ვითომც მწუხარების ტირილით) არ გებრალევა საწყალი სერგო?!.. ერთი საათის წინ მხიარულათ იყო და უცებ!..

ელისაბედ \_ (შეშინებული) რა, რა დაემართა?!

აპოლონ \_ ის დაემართა, რაც მამაჩემსა!.. ისე უეცრად გაქრა მშვენიერი ყმაწვილი კაცი!..

ელისაბედ \_ (თავში შემოიკრავს) ვუი, ჩემს ჩაქოლვას!.. რაღა ვქნა?! (შევარდება

ოთახში).

აპოლონ \_ (კმაყოფილებიოს ღიმილით) წადი და თავი ქვას ურახუნე... ახლა კი წავალ სასეირნოთ. (მიდის).

ფარდა დაეშვება

მოქმედება მეორე

(იგივე ქუჩა. სცენა ჩამოხსნილია, მხოლოდ ერთი ფარანი ანთია)

გამოცხადება პირველი

ოსევა \_ (შემოდის ქუჩიდან კიბეზე და დაღონებული და დაღონებული) მთელი ბაზარი შემოვიარე, ეგების გული გადამეყოლებინა, მაგრამ არ იქნა! მახლას, ის ყმაწვილი სულ მაინც თვალწინ მიდგა!.. აფსუს, მაშიკო!.. რა ქალი იყო და!.. იმისთანა ნორჩი, ქორფა... ჰყვოდა, რაღა! ეხლა იმისი დედა ელისაბედი რა ფინთუნებაზედ იქნება და!.. დედამ შვილი დამარხოს და იმისთანა?! აფსუს! აფსუს... სერგო მაინც მოსულიყო... ნეტა სად იქნება გუშინდელს აქეთ?! რომ მოვიდეს, ან კი როგორ ვუთხრა მაშიკოს სიკვდილი?! თითონაც მოკვდება რაღა! მა რა მოუა! (კარს ალებს) მოდი და იცოცხლე!.. ერთიც ვნახოთ, წამოგივლის სიკვდილი, ერთს ალიყულსა გკრავს და მშვიდობით!.. (შევა ოთახში)

გამოცხადება მეორე

ელისაბედ, მაშიკო და მოსამსახურე

ელისაბედ \_ (დაღონებული და ნაზად ქალს) წადი, შვილო, წადი, გენაცვალოს დედა, დედიდანთასა, შვილო, ბიჭი წაგყვება... ბაღში დრო გაატარე!..

მაშიკო \_ დედილო, შინ მირჩევნია, თქვენთან ვიქნები.

ელისაბედ \_ (ნაზათ) რაებს იტყვი!.. ჩემთან როგორ გირჩევნია, ბებერთანა... იქ შენი ტოლები არიან, შვილო!..

მაშიკო \_ დედას მზემ, აქ მირჩევნია!

ელისაბედ \_ რას ამოიყინე! სულელო!.. ძალას ხომ არ გატან, მაგრამ... (იქით)

ეს კაი მიფიქრია! (მაშიკოს) იცი, რათა გგზავნი, შვილო?! აქ სახლები მინდა მოვართვევინო, ამ დღეებში ვინმეებს უნდა დავპატიყო ლოტოზედ, შვილო!

მაშიკო \_ მართლა, დედილო?!

ელისაბედ \_ დიახ!.. შენ ტოლებსაც დაგიპატიყებ... დუდუკი, დაირა, დიმპლიპიტო... (ჰკოცნის) წადი, ჩემო თვალის ჩინო!

მაშიკო \_ თუ აგრეა, მაშ წავალ... (იქით) ეს რა ამბავა, რომ დედაჩემი ასე გაფურადა და გამინაზდა?... (მიდი და ბიჭი თან მისდევს).

გამოცხადება მესამე

ელისაბედ \_ (მარტო) საცოდავო!.. ის კი ვერ გაუგია, რისთვისაც გავგზავნე სხვაგან...

ასე სჯობია. ერთს კვირას იქ იყოს, მანამდის სერგოს დაჰმარხავენ, მეც მანამ სხვა სახლს ვიქირავებ, გადავალ და მაშინ გავუმჟღავნებ მაშეკოს... საწყალი სერგო!.. ვინ მოიფიქრებდა... ოხ! (ხელსახოცს მიიფარებს სახეზედ).

გამოცხადება მეოთხე

ელისაბედ და ოსევა

ოსევა \_ არა, ისეც ბაზარში წავალ, ოთახში ვერ გამიძლია... დავწექი, თვალი რომ დავხუჭე, ის საწყალი მაშეკო მებლანდება სულა, თითქოს კიდეც მელაპარაკება... (ელისაბედს დაინახავს) ვა! აი, საწყალი დედაც აქ გამოსულა... კიბეზედ სატირლად... ახარ, ოთახში სულ იმას უყურებს... რა გული იქნება გაუძლოს!.. ჯერ მე რომ ასე ვარ. ეს რაღა იქნება!.. საბრალო დედა! ჩაქოლვილი!

ელისაბედი \_ ვუი, ქა! უბედური ოსევა!.. რო არც კი ტირის?!. ახლა მაგის გული გაქვავებულივით იქნება... იმისთანა შვილის დამკარგავი...

ოსევა \_ ერთი ხმას გავცემ... ახარ, რა ვუთხრა, რომ არ ვიცი.

ელისაბედ \_ ვეტყოდი რამეს, მაგრამ ვაი თუ უფრო შევაწუხო ეგ ჩაქოლვილი! (ოსევას) პარუნ ოსეფ!.. როგორ გიკითხო?..

ოსევა \_ (მწუხარებით) დავკარგეთ, ბატონჯან?!

ელისაბედ \_ (მწუხარებით) დიახ, დავკარგეთ!..

ოსევა \_ ახარ, რა ცეცხლი ჩამოვარდა?! რა იყო?..

ელისაბედ \_ (მოსთქვამს) ნულარ მკითხავ, პარუნ ოსეფ!.. ვინ იცის, იქნება მწუხა...რე...ბა...მაც... მო...კლა!.. ასე რომ მცოდნოდა, ჯვარს გადავსწერდი მაშინათვე... ვალსაც მევე გადვუ...ხდი...დი!..

ოსევა \_ (ქვითინით) მეც გადვუხდიდი, ელისაბედის მზემ... ეხლა რაღა ვქნათ და სად ჯანდაბას გადავცვივდეთ!..

ელისაბედ \_ (ნაზად და წყნარათ, მწუხარებით) ვინ მოიფიქრებდა!.. თქვენ, როგორც მამას, იმის კეთილი გინდოდათ...

ოსევა \_ რასაკვირველია!.. (იქით) მე ამის გულდინჯობა მაკვირვებს... რომ აღარც კი ტირის?! (ელისაბედს) ოჰ რა ძნელია მოხუცებულობის დროს დაობლება.(ობრავს) მახლას, რა ვქნათ...

ელისაბედ \_ რა გაეწყობა!

ოსევა \_ დიახ, დიახ! (იქით) ხედავთ ამ ქოფაკს, რა გაეწყობაო... მგონია კიდეც უხარინ, რომ ქალს გადარჩა, მზითვი შინ დამრჩებაო!.. კრიჟანგობა რა არის!...(ელისაბედს) ბატონო ელისაბედ! მე რომ თქვენს ალაგს ვიყო...

ელისაბედ \_ რა იქნებოდა, პარუნ ოსეფ?..

ოსევა \_ უკაცრაოთ კი ნუ იქნები და...

ელისაბედ \_ რაო? მე არ მესმის...

ოსევა \_ ეჰ, დალოცვილო! მე ვერ მოვითმენდი... ძალიან კარგი რამ დავკარგეთ...

ელისაბედ \_ (იქით) საცოდავი!.. შეურივა?.. მწუხარებას ბევრი რამ შეუძლიან!.. ან როგორღაა ცოცხალი?!. წავიდე, თორემ გული მიკვდება მაგის ყურებით!..

ჩაქოლვილი!.. (ოსევას) მშვიდობით, პარუნ ოსეფ!.. გული დაიმშვიდე!.. (შევა თავის

ოთახში).

### გამოცხადება მეხუთე

ოსევა \_ (მარტო) რა ვქნათო!.. ეს რა თქვა?! ისე რიგათაც ლაპარაკობს, თითქოს ამბობდეს: რა ვუყოთ რომ ისპანახი დამვირებულაო!.. ოჰ, ძუნწობავ, კრიჟანგობავ, რა ძნელი ყოფილხარ!.. (ჩაფიქრდება) მართალია, დიდი დანაშაული არა აქვს, მაგრამ... ერთ რიგათ თითქოს არისო მიზეზი ქალის სიკვდილისა!.. ერთი მინდოდა შემეხედა მიცვალებულისათვის და გამოვსალმებოდი, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ მკვდრისა მეშინიან... სწორე გითხრათ, ძალიან მეშინიან!.. (ჩაფიქრდება).

### გამოცხადება მეექვსე

#### ოსევა და მაშვიკო

(შემოვა ისე, რომ ოსევა ვერ ჰხედავს და თავიანთ ოთახის კარებთან მივა)  
ოსევა \_ ახარ, მე ხომ არა დამიშავებია რა იმისთანა?!.. წავალ ერთი გამოვეთხოვები!  
(მოზრუნდება და მაშვიკოს რომ დაინახავს, რომელიც ზურგშემოქცეული დგას, შესძახებს) ვა! ეს რა ჭირს გადავეკიდე?!.. აქაც მეჩვენება!.. (შევარდება თავის სახლში)

### გამოცხადება მეშვიდე

#### მაშვიკო და ელისაბედი

ელისაბედ \_ (კარს ალებს) ქა! რისთვის მოზრუნებულხარ?  
მაშვიკო \_ არც დედიდა იყო შინა, არც ქალები. ერთი კვირით სხვაგან წასულიყვნენ.  
ელისაბედ \_ მეწყინა, მაგრამ რა გაეწყობა... წადი, შვილო, დაიძინე მაინც; კარებს კი ნუ ჩააკეტილებ, მე ეხლავ მოვალ, ერთი ანასთან ავირბენ ცოტა ხანს (მაშვიკო შინ შევა).

### გამოცხადება მერვე

სერგო \_ (შემოდის ქუჩიდან) დროც ვერსად გავატარე! გულს მიხუთავს რაღაცა, ლამის გავგიჟდე... ნეტა ეხლა მაშვიკო რასა შვრება?. ჩემზედ მეტად წუხს. (მივა

მაშვიკოს ოთახის კარებთან და იყურება ჭუჭრუტანიდგან) სრულებით არა სჩანს რა!..

ელისაბედ \_ (შემოდის, სერგოს ჯერ ვერ ხედავს) არც ანა ყოფილა შინა! (სერგოს რომ დაინახავს) ღმერთო ჩემო, ეს რასა ვხედავ?! (თვალეზზედ ხელს ისვავს, ამ დროს სერგო მიბრუნდება ელისაბედისაკენ) ვუი! ის არის, ის არის, მიშველეთ!..

სერგო \_ (ვერა სცნობს ელისაბედს) ვინ არის, ვინმე ლაპარაკობს?

ელისაბედ \_ (თვალეზზედ ხელს იფარებს) ვუი! ლაპარაკობს! მიშველეთ! მიშვე..!

სერგო \_ ბატონო ელისაბედ! თქვენა ბრძანდებით?..

ელისაბედ \_ მეძახის!.. მოკვდი! კვდები!..

სერგო \_ ბატონო, შეუძლოთ ხომ არა ბრძანდებით?

ელისაბედ \_ (სერგოს) ოხ! ოხ! ნუ მოკლან ქალს მაინც გამოვესალმო! ოხ! გული მიმდის! გული!..

სერგო \_ აქ საქმე საექიმოთ ყოფილა... ბატონი მომითმინეთ, შინ შეგიყვანოთ! (უნდა ხელი მოსჭიდოს)

ელისაბედ \_ (ღონეს მიიციმს რამდენსამე ფეხს გადაადგამს და ჩაჯდება) არა! ოხ!.. რა გინდა ჩემგან?.. რათ ამდგარხარ?..

სერგო \_ რას ბრძანებ?.. მე ჯერ არც კი დავწოლილვარ... ეს არის, შინ მოვბრუნდი.

(იქით) რაებს ჰბოდამს?! დასწყევლოს, ღმერთმა!.. ხომ არ გადაულრამს? (ელისაბედს)

ბატონო ელისაბედ! მიბრძანეთ რითა ხართ უკმაყოფილო?

ელისაბედ \_ (ვედრებით) ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ყველაფრით, ოღონდ შენ ჩამომეცალე, დაიკარგეთ!..

სერგო \_ გუშინ კი მაპატივეთ, მეც ავიჯერე, იმედი მომეცა და ახლა კი...

ელისაბედ \_ (ვედრებით) ახლა რა? ჩემი სიკვდილი გინდა? (დაიჩოქებს) შემიბრალე! შემიბრალე! ყველაფერს შეგისრულე ოღონდ კი მაპატივე!..

სერგო \_ როგორ?

ელისაბედ \_ თუ გინდა, შენს მოვალეებს ყველას მე გავისტუმრებ...

სერგო \_ (გამხიარულებული) მართლა?.. ოჰ, კეთილო ელისაბედ! ჩემო დედავ! ჩემო იმედო! მაგრამ, აბრძანდით...

ელისაბედ \_ თანახმა ხარ?

სერგო \_ მაგას რაღა ჩიჩინი უნდა!..

ელისაბედ \_ მაშ ხვალვე... მაგრამ, შემდეგ ხომ თავისუფალსა, ყოფ?

სერგო \_ მაგით ჩვენ ყველანი ბედნიერნი ვიქნებით ანგარიშს შემდგომ გაგიწმენთ.

ელისაბედ \_ (შეშინებული) ანგარიშს გამიწმენდ? მაშ გამოვესალმო სოფელს?.. ერთი დება მომეც, ჩემს ოთახში მაინც შევიდე...

სერგო \_ ბატონო, ვინ გიშლისთ?.. მიბრძანდით...

ელისაბედ \_ ცოტა ჩამოდექ, თორემ ნაბიჯსაც ვერ გადავდგავ...

სერგო \_ თქვენი ნებაა, თუმცა კი არ მესმის, რათა გსურთ ჩემი მოშორება (უკან დაიწევს).

ელისაბედ \_ (მიდის თავის ოთახში და მალ-მალ უკან იყურება) ეს არის ჩვენი ცხოვრება?... ოჰ, რა მოკლე ყოფილა!... მერე ამ დილას რა კარგათ ვიყავ!.. ოხ! ოხ!... (შევა).



გამოცხადება მეცხრე

სერგო, შემდეგ ოსევა და მართა

სერგო \_ (პუბლიკისაკენ) ეს ბებერი ან დამთვრალა, ან გაგიჟებულა!... რაებსა როშამდა!... სრულებით ვერა გაიგო რა, მეკითხა (მიუახლოვდება იმათ კარებს).

ოსევა \_ (კარებს გააღებს თავის ოთახისას და მართას გამოგზავნის) კარგათ დასჩხრიკე, მანდა ხომ არა დგას...

მართა \_ (სანთლით) ალაჯან, აქ არავინა სჩანს!

ოსევა \_ (კარებში) მაშ, გამიგონე: მე წავალ, იქნება ხვალამდის არ მოვიდე, შენ თვალყური დაიჭირე სახლზედ, ნურავის გაუღებ, მანამ არ გაიგო ვინ არის.

მართა \_ კარგი, ალაჯან!...

ოსევა \_ (გამოვა) მაშ კარგი დაკეტე და გამაცილე... (იქით) სწორე გითხრათ, ღვთის წინაშე, შინ ველარ დავმჯდარვარ... ასე მგონია, თუ ყველა კუთხიდან კვდრები გამოცვივდებიან-მეთქი... (მართას) იმ კარებთან ხომ არავინა დგას?...

მართა \_ (იყურება) დიახ, ვიღაცა დგას, თეთრჩაცმული...

ოსევა \_ (შეშინებული) თეთრჩაცმული? ის არის, ისა!... (შევარდება ოთახში).

მართა \_ რა დაემართა, ცოცხალი ადამიანებისა ეშინიან ?... (მივა სერგოსთან) ოჰ!

ბატონო, თქვენა?... (ოსევას) ალაჯან, სერგო გახლავსთ, სერგო!...

ოსევა \_ (კარს გააღებს) სერგო?!. მე კი სული დამელია და!... (ეხვევა შვილს) სერგო!... შვილო! ძლივს არ მოხველ! კინაღამ არ მოვკვდი!

სერგო \_ რათა, მამავ?... რა დაგემართათ?...

ოსევა \_ (შიშნულათ) მე ვნახე... ოხ, ჩემი თვალით ვუყურე... მართლა, შენ ხომ ჯერ არა იცი რა?... არა, ვერ გეტყვი... დაე, სხვამა სთქვას, სხვამ...

სერგო \_ (შემკრთალი) რა? რა იყო?... ნუ მაშინებ, მამავ, შენი ჭირიმე!...

ოსევა \_ (ეხვევა ნაზათ) რა იყო?... ხომ იცი, შვილო, კაცი გულმამგრათ უნდა იყოს, ყოველ ჟამს და მზად უნდა იყოს...

სერგო \_ მამავ... მე გთხოვთ, მიბრძანოთ, თორემ, აგერ მუხლები მეკეცება...

ოსევა \_ მოიცა, შვილო, ხვალ შეიტყოფ. ეხლა კი მე მინდა შენი ვალები გადავიხადო...

სერგო \_ (მხიარულებით) მართლა?!.

ოსევა \_ ჰო, შვილო! ახლა კი ვხედავ, რომ ფული სულ ხელის ჭუჭყი ყოფილა...

გესმის?... ხელის ჭუჭყი!.. აჰა, ორასი თუმანი, მე შენს მოვალეებს და ღმერთმა შნო მოგვცეს... გაგაბედნიეროს... (ობრავს) თუ კი შეიძლება...

სერგო \_ (ხელზედ ჰკოცნის) ოჰ, რა მამა ხარ და!.. მამა კი არა მამების ბატონი ხარ, ხალმწიფე ხარ!..

ოსევა \_ რათ იხარჯებ მაგ სიტყვებს, შეინახე გამოგადგება... განა არ იცი, რომ ჩემი ვალია შენთვის ამაგი ვქნა?..

სერგო \_ ოხ, რა ბედნიერი ვარ!.. წავიდე, მაშიკოს ვახარო...

ოსევა \_ მაშიკოს?!. არა შვილო!.. დაეხსენ ხვალამდის... ხვალ გაიგებ... (ეხვევა სერგოს) შვილო! ვაჟი ხარ, მაგარი უნდა იყო, ყოჩაღი!..

სერგო \_ ალაჯან! რაებს მეუბნები? მაშინებ, ღმერთმან იცის!.. ამათს თავს რაღაც ამბავია... ელისაბედიც როგორღაც არეული ვნახე...

გამოცხადება მეათე

იგინივე და აპოლონ

აპოლონ \_ პარონ ოსეფას ნახლავარ!.. სერგოს გაუმარჯოს!.. ჯერ არ დაგიძინიათ?..

ოსეფა \_ (შვილს) აი, ეგ გეტყვის ყველაფერს.. მაგრა იყავ, ჰა!..

სერგო \_ აპოლონ! შემატყობინე, თქვენსა რა მოხდა?

აპოლონ \_ ჩვენსა? არაფერი.

სერგო \_ შენი და რაღასა იქს?

აპოლონ \_ არაფერს ეხლა, მგონია, სძინავს...

ოსეფა \_ (იქით) დიახ, სძინავს!.. შემი მტერი დაიძინოს ისე. (აპოლონს

საიდუმლოებით) ახარ, რაღას უმაღამ? უთხარ, რაღა!.. ბოლოს ხომ უნდა გაიგოს...

აპოლონ \_ (განცვრიფრებით) რაო?.. რა უნდა გაიგოს?

სერგო \_ არა, მე ვხედავ, რომ თქვენ რაღაცას მიმაღავთ, მითხარით, ღვთის გულისათვის...

აპოლონ \_ გაგიჟდი? რა გითხრა, რომ მე თვითონ არა ვიცი რა...

ოსეფა \_ (აპოლონი იქით მიჰყავს) გამიგონე... შენ დას რაღაცა ამძიმებს, ადგება ხოლმე და დადის!

აპოლონ \_ რა ვუყოთ რომ დადის!..

ოსეფა \_ (შიშნეულათ) მე თვითონ დავინახე... აი, აქ იდგა...

აპოლონ \_ მერე?

ოსეფა \_ ისე ვუყურებდი, როგორც ეხლა შენ!.. გესმის?!

აპოლონ \_ მერმე რა ვქნათ? ჩემი და განა მზეთუნახავია, რომ კაცმა ვერ გაუშტეროს თვალები იმის ბრწყინვალე და მოტყინარე სხივსა. (იქით) რა რიგათა ვსთქვით და!..

ოსეფა \_ (წყნარად შვილსა) საცოდავი! ისეც მგონია დის სიყვარულს შეუშლია!..

სერგო \_ როგორ თუ დის სიყვარულს!.. მამავ, ერთი გამაგებინეთ, რა ამბავია, რა მოხდა?.. მაშიკო ხომ ავათ არ არის?..

ოსეფა და აპოლონ \_ არა.

ოსეფა \_ ახარ, რაღა დავმალოთ... შვილო! გამაგრდი!.. მოემზადე!.. მაშიკო...

სერგო \_ (აჩქარებით) რა?.. მაშიკო... (ამ დროს მაშიკო კარს გააღებს).

აპოლონ \_ აი, მაშიკო!

ოსეფა \_ (რომ დაინახავს მაშიკოს) ტერ ასტუაც!.. მიშველეთ!.. სხვებთანაც შემოვიდა!.. (შევარდება თავის ოთახში და კარს მოკეტს, მართაც თან შეჰყვება).

გამოცხადება მეთერთმეტე

სერგო, აპოლონ და მიშიკო

სერგო \_ (მაშიკოს სიამოვნებით) ძლივს არ მოხვედით!.. გული დამიმშვიდე... ხომ კარგათა ხართ?..

მაშიკო \_ რა მიჭირს, მაგრამ ძალიან კი მომეწყინა!

სერგო \_ ოჰ! რახან კარგათ ხართ, მე ბედნიერი ვარ! ახლა ჩვენს მწუხარებასაც ბოლო მიეცა... მე გავსწორდი ჩემს მოვალეებთან...

მაშიკო \_ (მხიარულად) მართლა?.. როგორა?

სერგო \_ როგორა და, მამამ გადამიხადა ვალები, მაგრამ ძალიან კი შემაფიქრა... აპოლონმაც.

აპოლონ \_ მე? როგორა?

სერგო \_ რას მეუბნებოდით შენს დაზედ?

აპოლონ \_ არაფერს, მე ვსთქვი, რომ სძინავს \_ მეთქი... და ეს მგონია ყოველდღიური საჭიროება იყოს.

სერგო \_ მაშ, მამას უნდა ვკითხოთ (კარს ურახუნებს) ალაჯან!

ოსევა \_ (კარს უკან) არ შემიდლიან! არ შემიდლიან!

სერგო \_ რას მიბრძანებთ, რისა გეშინიათ?.. მარტო ჩვენ ვართ აქა...

ოსევა \_ (კარს ალებს) მარტო? როგორ მარტო?..

სერგო \_ მე, აპოლონ და მიშიკო.

ოსევა \_ მაშიკოცა?!. კიდევცა ჰხედავ?!. (კარს ჰკეტავს).

აპოლონ და სერგო \_ რა დაჰმართვია... რა არის ესა?!.

აპოლონ \_ გაგიჟდა?.. რისა ეშინიან?!.

სერგო \_ ალაჯან! რა დაგემართა?

მაშიკო \_ (ოსევას შესძახის) ბატონო! გამობრძანდით ჩვენთან!

მამავ! ნება მომეცით, მამა გიწოდოთ... მობრძანდით, მოეხვიეთ თქვენს ქალსა!..

ოსევა \_ (კარს ალებს) ეს რა ხათაბალაა?! ამ დავიდარაბისა სულ

ვერა გამიგია რა... ჰარამზადა ვიყო, თუ მესმოდეს რამე... გავგიჟდი, თუ რა ხათაბალა მოსულა ჩემს თავს!.. მაშიკო, შენა ხარ?..

მაშიკო \_ მე გახლავარ, მამაჯან! მობრძანდით, მომეხვიეთ (ოსევასკენ მიდის).

ოსევა \_ მოიცა, მამა გიცხონდა! ახლო ნუ მოხვალ, შორიდან ვილაპარაკოთ... შენ მართლა ნამდვილი მიშიკო ხარ?.. ცოცხალი ხარ?..

ცოცხალი ხარ?

მიშიკო და სერგო \_ ეს რა ამბავია? მე არა მესმის რა!..

აპოლონ \_ ჰოო! ახლა კი მომაგონდა! აკი დამავიწყდა!.. გული დამიმშვიდეთ, პარუნ ოსევა!.. ეს მე ვიხუმრე... ჩემს დას ფიქრადაც არ მომსვლია სიკვდილი... მე მოვიგონე, მე ვიხუმრე...

ოსევა \_ (გაჯავრებული) კიდევ შენა? ყურუმსალო!! ლუპუსტაცობაზედ ხელი არ აიღე?.. კინაღამ ხომ გაგიჟდი!..

აპოლონ \_ მართლა? მაშ ძალიან შეშინებული ხართ მაგისტანა გულადი კაცი...

ოსევა \_ (აპოლინ) ახარ, მინდღეში ტუტუცობა იქნება?.. გეტყობა ყმაწვილობაში ჭკუა არ უსწავლებიათ?! (ანიშნებს ხელით როზგის დაკვრას).

აპოლონ\_(ოსეფას) ჩურჩუტა! ჩურჩუტ!..

გამოცხადება მეთორმეტე

იგივენი და ელისაბედ

ელისაბედ\_(სერგოს ვერა ჰხედავს, შემკრთალის სახით, სუსტი ხმით მოუბარი) მაშიკო, მაშიკო! თავი რად დამანებე? .. აპოლონ, შენც მოსულხარ?.. აქ მოდიო, შვილებო... ჩემთან იყავით ამ უკანასკნელ დროს!..

მაშიკო\_(მივა დედასთან) როგორ თუ უკანასკნელ დროს? ეს რას ნიშნავს?.. დედილო, თქვენ როგორღაც უქეიფოდ ბრძანდებით...

ელისაბედი\_(ებვევა აპოლონს) შვილო აპოლონ! გებარებოდეს მაშიკო, გაუფრთხილდი, შვილო! ჩემს სიკვდილის შემდეგ შენს მეტი აღარავინა ჰყავს.

ყველანი\_ შენი რა გვესმის?!. რას ნიშნავს ესა!..

აპოლონ\_ ეჰ, მშობელო, ეგ რა წარმოსთქვით? ნუ მიგვატოვებთ ობლებსა ამ დაუდგომელს წუთისოფელში... (იქით) როგორა ვსთქვი!..

ელისაბედ\_ პარუნ ოსეფ! თქვენს შვილს რამდენი ვალი აქვს?

ოსეფა\_ რათ კითხულობთ?

ელისაბედი\_ მე მინდა გადავიხადო.

ოსეფა\_ თქვენა?.. მითომ რათაო?!

ელისაბედ\_ ეგ მე ვიცი რათაც... ერთის სიტყვით, თქვენ უარი არ უნდა სთქვათ, ეს არის ჩემი სურვილი... (ამოიოხრებს) ჩემი უკანასკნელი ნება!

მაშიკო\_(ტირილით) დედილო!.. რაებსა ბრძანებთ?.. რა გემიზეზებათ?..

აპოლონ\_ იქნება საწყენი მიირთვით რამე?

სერგო\_ ჩქარა, ექიმთან გავგზავნოთ კაცი!

ელისაბედ\_(რომ დაინახამს სერგოს) მიშველეთ! ეს აქ ყოფილა?!

ოსეფა\_ არიქა, სერგო, აქიმობაში!..

ელისაბედ\_(იჭვნეულათ) რა ვთქვა?.. სერგოვო?.. (ოსეფას) განა ელაპარაკებით კიდეც?!. ცოცხალია თქვენი შვილი? ეს რა მესმის?!. რასა ვხედავ?!. ვინა თქვა მოკვდაო?.. Hჰა... ჰოოო! ახლა გამახსენდა!.. (აპოლონს შეუტევს) შენა, განა?!. ეს კიდეშ

შენი არამზადობაა?.. შე არ გასაზრდელო, შენა!.. გაგიწყდეს სახელი, კარგი რამ შენ გამოდიხარ!..შენ ლუკუსტაცო, წამხდარო, თავლაფიანო!..

აპოლონ\_ ეჰა, ძვირფასო მშობელო? მე ეს საქმე ვიმოქმედე იმისთვის, რომ გამეცინებინეთ... მე ვიხუმრე...

ელისაბედ\_ რაო?... ვიხუმრეო?!... შენა (იწევს აპოლონისკენ გაწიწმატებული)

სასიკვდილე, სასიკვდილე, სასიკვდილე!... (დამშვიდდება) არა... მე ვხედავ, რომ შენ ისე სულელათ დაბერდები და უგუნურათ ჩაკვდები, უგუნურათ!...

აპოლონ\_ (ღიმილით) მითომ?!

სერგო\_ ბატონო ელისაბედ! ახლა მაინც ხომ შემიძლია ვსთქვა თქვენი შვილობა.

ელისაბედ\_ როგორა, შვილო?

მაშიკო\_ დიახ, დედილო, ოსეფამ გადაუხადა სერგოს ვალები... ახლა მაინც დაგვლოცეთ!...

ელისაბედ\_ ვუი, ქა! მართლა?! იიშ, მე გადასახდელი არა მქონია რა?

ოსეფა\_ (სერგოს და მაშიკოს) ღმერთის ლოცვა იყოს თქვენს თავზედ!... (იქით აპოლონზედ ამბობს) ამისი ლუპუსტაცობით მე ორასი თუმანი დაგვარგე!.... მაგრამ (სერგოსა და მაშიკოზედ ხელს იშვერს) ესენი რომ დაიხოცებიან, ამათი ზ-ნეთი ხომ ისევ მე დამრჩება!... (ხმამაღლა, მითომ მხიარულათ სერგოს და მაშიკოს) წადით, ახლა ქეიფი გასწიეთ!... ვახშმის დროც არის, ვჭამოთ და ერთი კაი ძილიც გამოვაცხოთ!...

ელისაბედ\_ მართლა, ახლა კი დრო არ არის!... მაშიკო! წავიდეთ, შვილო! (მიდის და აპოლონს თითით ემუქრება) ერთი კიდენ გაბედე რამე! ... გიჩვენებ შენს თამაშს!... (გავა)

ოსეფა\_ (მიდის და აპოლონს) შენი ტუტუცობა მე ორას თუმნათ დამიჯდა...

ყურუმსალო! ... (მუშტს უჩვენებს, გავა).

აპოლონ\_ მართლა? ... აგრე ძვირათ... (იცინის) .

სერგო\_ (აპოლონს ხელს ჩამოართმევს) მაღლობელი ვარ, ჩემო აპოლონ! შენმა ხუმრობამ ბედსა მწია!

აპოლონ\_ მითომ?... მაშა, კაი ხუმრობა მომსვლია?

მაშიკო\_ კარგი, მაგრამ ყველას არ მოსწონებია.

ელისაბედ\_ (ოთახიდან) მაშიკო! შვილო! წამოდი რაღა!

მაშიკო\_ ეხლავ, დედილო, ეხლავ!

სერგო\_ მშვიდობით ხვალამდის! (ხელზედ ჰკოცნის, მაშიკო მიდის) ღმერთმა გიშველოს, აპოლონ! კაი საქმე მოახდინე (გავა).

გამოცხადება მეცამეტე

აპოლონ\_ (მარტო) აი რას ნიშნავს სხვა და სხვანაირი განათლება! ზოგნი

გემადლიერებიან, ზოგნი გემუდარებიან; ნამეტნავათ პარუნ ოსეფ... უფლება რომ ჰქონდეს, კარგა კი მიმამტვრევდა!... გადაყრუებული! რა ძნელია გაუზრდელობა!... (პუბლიკისკენ)

ვისაც სწავლა არა აქვს და ბრიყვათ გაზრდილია,

ვერც ხუმრობას აიტანს, არის გასაკილია;

რაც შეგვეძლო ვიშრომეთ, ვაითუ მოგეწყინათ?

მე იმისთვის ვხუმრობდი, ეგების გაგეცინათ!...

თუ ვერ გასიამოვნეთ, დედა მომკლავს ცემითა,

თავიც რომ მოვაბეზრე ამნაირი ქცევითა...

ოსაფაც არ დამინდობს, სილას გამაწნამს ყბაში,  
ისევ ისა სჯობია, თქვენ დამიკრათ ტაში...  
ტაში, ტაში ბლომათა, თორემ მივდივარ კარში!

ფარდა დაეშვება.

1868 წ.